სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა 2024 წლის 9 ივლისის არჩევნების ჩატარების უზრუნველყოფის მიზნით შექმნილი საარჩევნო კომისიის სხდომის

ოქმი № 7

ქ. თბილისი 08/07/2024

17:00 სთ.

სხდომას ესწრებოდნენ:

1. ზურაბ გოგშელიძე
2. აკაკი მიქაბერიძე
3. მირანდა მიქაძე
4. სალომე ჩიტიშვილი
5. პავლე ჯაგუნავა

2024 წლის 08 ივლისს, 17:00 საათზე სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის II კორპუსის 212 აუდიტორიაში გაიმართა აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნებისათვის შექმნილი საარჩევნო კომისიის მეშვიდე სხდომა.

მოისმინეს:

სხდომა გახსნა კომისიის თავმჯდომარემ - ზურაბ გოგშელიძემ, რომელმაც კომისიის წევრებს წარუდგინა სხდომის დღის წესრიგის პროექტი შემდეგი სახით:

<u>დღის წესრიგის პროექტი</u>

1. აკადემიური საბჭოს არჩევნებისთვის საარჩევნო კომისიის N5 სხდომის ოქმით დამტკიცებულ სარჩევნო ქვეკომისიების შემადგენლობაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ.

აზრი გამოთქვეს:

კომისიის წევრებმა მოიწონეს წარმოდგენილი დღის წესრიგის პროექტი და საწინააღმდეგო მოსაზრება არ გამოუთქვამთ.

კომისიის თავმჯდომარემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგის წარმოდგენილი პროექტი.

ჩატარდა კენჭისყრა.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი - 0

დაადგინეს:

დამტკიცდეს დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს:

კომისიის თავმჯდომარემ, ზურაბ გოგშელიძემ კომისიის წევრებს გააცნო საარჩევნო კომისიის სახელზე შემოსული განცხადებები, რომლითაც:

1. თსუ დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის დირექტორმა წარმოადგინა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო ქვეკომისიის წევრის - ქეთი ცომაიას შემცვლელი კანდიდატურა - მორფოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი თინათინ კვაჭაძე.

2. თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანმა წარმოადგინა ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო სამედიცინო ფურცელზე მყოფი ქვეკომისიის წევრის - თამარ ღაჭავას შემცვლელი კანდიდატურა -

კომისიის თავმჯდომარემ ასევე აღნიშნა, რომ თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქვეკომისიის შემადგენლობაში ტექნიკური ხარვეზის გამო გამორჩენილია ქვეკომისიის ერთი წევრის - თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი სპეციალისტის მაია კოტრიკაძის მონაცემები და მიზანშეწონილია აღნიშნული ხარვეზი გასწორდეს.

აზრი გამოთქვეს:

წარმოდგენილი ინფორმაციის თაობაზე კომისიის წევრთა შორის გაიმართა მსჯელობა. აზრი გამოთქვეს საარჩევნო კომისიის მდივანმა აკაკი მიქაბერიძემ, კომისიის წევრებმა სალომე ჩიტიშვილმა და მირანდა მიქაძემ. კომისიის წევრებმა დააფიქსირეს, რომ არჩევნების ორგანიზებულად ჩატარებისათვის საჭიროა ქვეკომისიების შემადგენლობაში ცვლილებისა და დამატების განხორციელება.

კომისიის თავმჯდომარემ, ზურაბ გოგშელიძემ კენჭისყრაზე დააყენა საკითხი აკადემიური საბჭოს არჩევნებისთვის საარჩევნო კომისიის N5 სხდომის ოქმით დამტკიცებულ საარჩევნო ქვეკომისიების შემადგენლობაში, თსუ დამოუკიდებელი

სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის, თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტისა და თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქვეკომისიების შემადგენლობის ნაწილში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ.

1. სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს წევრთა არჩევნების ორგანიზებულად ჩატარების მიზნით, საარჩევნო კომისიის N5 სხდომის ოქმით დამტკიცებულ სარჩევნო ქვეკომისიების შემადგენლობაში ცვლილებისა და დამატების შეტანის შესახებ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ საარჩევნო კომისიის დამსწრე წევრები.

კენჭისყრის შედეგები:

მომხრე - 5

წინააღმდეგი -0

გადაწყვეტილება მიღებულია ერთხმად.

დაადგინეს:

აკადემიური საბჭოს არჩევნებისთვის საარჩევნო კომისიის N5 სხდომის ოქმით დამტკიცებულ სარჩევნო ქვეკომისიების შემადგენლობაში შევიდეს ცვლილება, თსუ დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ალექსანდრე ნათიშვილის სახელობის მორფოლოგიის ინსტიტუტის, თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტისა და თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ქვეკომისიების შემადგენლობის ნაწილში:

1. თსუ დამოუკიდებელი სამეცნიერო-კვლევითი ერთეულის - ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტის საარჩევნო ქვეკომისიის შემადგენლობაში ქეთი ცომაიას ნაცვლად დაფიქსირდეს ალექსანდრე ნათიშვილის სახელობის მორფოლოგიის ინსტიტუტის მეცნიერ-თანამშრომელი თინათინ კვაჭაძე.

2. თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის საარჩევნო ქვეკომისიის შემადგენლობაში თამარ ღაჭავას ნაცვლად დაფიქსირდეს თსუ ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის მთავარი სპეციალისტი ნუცა საღარაძე.

3. თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის საარჩევნო ქვეკომისიის შემადგენლობას დაემატოს თსუ სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის სამეცნიერო კვლევებისა და განვითარების სამსახურის უფროსი სპეციალისტი მაია კოტრიკაძე.

თავმჯდომარე:

/ზურაბ გოგშელიძე/ ----------

მდივანი:

/აკაკი მიქაბერიძე/ ----------